უროლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი დავით ქოჩიაშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი შალვა ჭოველიძე

ასოცირებული პროფესორი ვლადიმერ პაპავა

უროლოგიის დეპარტამენტი

ასოცირებული პროფესორი გიორგი ქოჩიაშვილი

ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე ხუსკივაძე

უროლოგიის დეპარტამენტი

1973 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში დაარსდა უროლოგიის კათედრა. ამ დროიდან უროლოგია იკითხება და შეისწავლება ცალკე საგნად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს უროლოგიის შემდგომი განვითარებისა და ამ დისციპლინის მიმართ მომავალი ექიმების ინტერესის გაღვივების თვალსაზრისით.

1973 წლიდან 1994 წლამდე კათედრას განაგებდა პროფესორი ვასილ ბაბუხადია. კათედრის შემადგენლობაში არჩეულ იქნა ორი დოცენტი: გივი გზირიშვილი და ჰამლეტ ყუფარაძე და ოთხი ასისტენტი: იოსებ გველესიანი, ნიკო თევდორაშვილი, სორთმან ჯაფარიძე, ნოდარ ფირცხალაიშვილი. კათედრის კლინიკურ ბაზად დამტკიცებულ იქნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. ყიფშიძის სახ. რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს I და II უროლოგიური განყოფილებები, რომლებიც გაშლილი იყო 90 საწოლზე და ხელოვნური თირკმლის განყოფილება. ბაზას ჰქონდა კეთილმოწყობილი სალექციო აუდიტორია, თემატიური სასწავლო კაბინეტები, საოპერაციო ბლოკი, შესახვევი, ენდოსკოპური, რენტგენო და რადიოლოგიური კვლევის კაბინეტები, კლინიკური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური, იმულოგიური, ალერგიული კვლევის ლაბორატორიები. კათედრა აღჭურვილი იყო სასწავლო ფილმებით, ფერადი სლაიდოსკოპებით, ვიდეომაგნიტოფონით, ტელესისტემით. კათედრაზე სწავლებას გადიოდა სამკურნალო, პედიატრიული, სამხედრო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები, სამეანო-გინეკოლოგიური და ქირურგიული ციკლის სუბორდინატორები (VI კურსი).

1994 წლიდან 1997 წლის მაისამდე კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა დოცენტი სორთმან ჯაფარიძე, ხოლო 1997 წლის მაისიდან 1999 წლის თებერვლამდე – დოცენტი გივი გზირიშვილი. 1999 წლის თებერვლიდან დღემდე უროლოგიის კათედრას, შემდგომში დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი დავით ქოჩიაშვილი (ქირურგიის მიმართულების უროლოგიის დეპარტამენტის პროფესორი).

უროლოგიის დეპარტამენტი

სხვადასხვა დროს უროლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები იყვნენ: გ. ბოჭორიშვილი, ნ. უჯმაჯურიძე, ი. ჯანელიძე, გ. ქარაზანაშვილი, დ. ებრალიძე, ზ. ჭანტურაია, ა. ხუსკივაძე.

სხვადასხვა დროს დეპარტამენტის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებები იყო: ჰიდრონეფროზის ეტიოლოგია, პათოგენეზი და მკურნალობა, შარდ-კენჭოვანი დაავადებების გავრცელება საქართველოში და მისი მკურნალობა, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის მკურნალობა, თირკმლების ქრონიკული ნაკლოვანების ეტიოლოგია, პათოგენეზი, მკურნალობა, თირკმლების მწვავე ნაკლოვანების მართვა.

ბოლო ათწლეულის მანძილზე დეპარტამენტში დაცულია 15 საკანდიდატო, 6 სადოქტორი დისერტაცია. დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია 600-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ჟურნალებში. დეპარტამენტის ყველა წევრი არის საქართველოს უროლოგთა ასოციაციისა და ევროპის უროლოგთა ასოციაციის წევრი, ევროპის უროლოგთა ასოციაციის კონგრესების დელეგატი.

ბოლო წლებში კლინიკური მიმართულებით დაინერგა: დისტანციური და კონტაქტური ლითოტრიფსია – კენჭების დაშლა შარდგამომყოფი სისტემიდან, ტრანსურეთრული რეზექცია – შარდის ბუშტისა და წინამდებარე ჯირკვლის დაავადებების დროს, წინამდებარე ჯირკვლის ბიოფსია, შარდსადინარზე ღია პლასტიკური ოპერაციები, პერკუტანეული ნეფროლითოლაპაქსია, ურეთერორენოსკოპია, რადიკალური ცისტექტომია და პროსტატექტომია და სხვა.

დეპარტამენტის კლინიკურ ბაზებზე დანერგილია დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მეთოდები, მათ შორის, პროსტატისა და შარდის ბუშტის ტრანსურეთრული რეზექცია, საშარდე გზების კონკრემენტების დისტანციური შოკურ-ტალღოვანი ლითოტრიფსია. დეპარტამენტის თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში. დეპარტამენტის თანამშრომლებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ უცხოელ კოლეგებთან, მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, ხშირია უცხოელი კოლეგების ვიზიტი დეპარტამენტში, ერთობლივი კონფერენციები, კონგრესები და ოპერაციები. დეპარტამენტის ბაზაზე ხორციელდება სამეცნიერო პროექტები საერთაშორისო გრანტების მხარდაჭერით (6 საერთაშორისო კლინიკური კვლევა). დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შედგენილია სალექციო და კურაციული კურსი უროლოგიაში – სტუდენტებისათვის, რეზიდენტებისათვის 4 წლიანი პროგრამა, დამტკიცებული სამინისტროს მიერ, განახლებული ტესტები, კითხვარები, სილაბუსი უროლოგიაში. დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ თანამედროვე სახელმძღვანელოს გამოშვებაში. ამჟამად დეპარტამენტში მზადდება 22 რეზიდენტი. 2015 წლის აპრილიდან დეპარტამენტი ძირითადად განთავსებულია პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე-(16 საწოლზე).